

ივერია

გარეული ეროვნული პოლიტიკური მუზაკოს რეგისტრი
ვებისტული გამოცემა

L'organe de la politique nationale Géorgienne
„IVERIA”

Directeur E. PATARIDZÉ †

Rédacteur S. TCHIRAKADZÉ

მ ა რ ი ა 1 9 7 5

N° 17

M A I 1975

თ ი ნ ა რ ი ა 1 9 7 5;

- | | |
|----------------|----------------------------------|
| შ. კალანდაძე | წარმოთქმული სიტყვა. |
| პ. სარჯველაძე. | წარმოთქმული სიტყვა. |
| ს. ჭირაქაძე. | ელ. ბატარიძის სსოფნას. |
| ა. აბაშიძე. | ე. პატარიძე. |
| ** | ლევან ჭურაბიშვილის გარდაცვალება. |
| მ. ქავთარაძე. | ვიქტორ ნოზაძის სსოფნას. |
| მ. ქაფთარაძე | ჩვენ და რუსეთი. |
| ** | ლუცერნის კონფერენციის ანგარიში. |

საქართველოს ეროვნულ - დემოკრატიული პარტია.

LE PARTI NATIONAL DEMOCRATIQUE GÉORGIEN


პარიზ — PARIS
1975



ივერია

გამო 1975

№ 17



1975 წლის 10 თებერვალს, ძლიერ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა, საზღვარგარეთელ ეროვნულ დამოუკარისული ორგანიზაციის მეთაური, უურნალ „ივერია“-ს დამაარსებელი და რადაქტორი ელისე პატარიძე.

14 თებერვალს მისი ცხელარი, მთელმა პაროზის ქართველობამ, გულისტკივილით მიაცილა ლევილის სასაფლაოზე.

მისი დაკარგვით, არა მარტო ჩევნმა ორგანიზაციაში, არამედ საქართველოსათვის ბრძოლაშ და ზრუნვაშ უზო მოდ დიდი დანაკლისი განიცადა. ელისე იყო დაუღალავი, მედგარი და გულგაუტეხელა მუშაკი, როგორც ქარიულ საზოგადოებრივ საქმიანობაში, ასევე მის კერძო (კურ-რებაშიაც იგი იყო იდმიანი, რომელსაც მოსიყვაჩულე და თავაზიანი). მაგრამ უტეხი ნების ხასიათი ჰქონდა. მის ბუნებაში უცნაურად თავსდებოდა: გულჩეილობა და ნა-ზი სიყვარული ყოველივე იმის მიმართ რაც და ვინც მას უყვარდა და ამავე დროს — დაუზოგავი განწყობილება ყოველივე იმისადამი რაც და ვინც მას მისი ქვეყნისათვის მტრად და მანენდ მიაჩნდა. განუწყვეტელმა აკტივობამ და მძიმე ჯაფამ. სულიერად უძლიერეს, მაგრამ ფიზიკურადსუსტი კაცის ძალლონე ბოლოსდაბოლოს დაპლია.

ყოველი ქართველი ვისაც, არა მხოლოდ გრძნობით, არამედ შეგენებითაც უყვარს თავისი სამშობლო, საკუთარ მოქმედების მაგალითად გაიხდის ელისე პატარიძის ცხოვრებას და მის ხსოვნასც მაღლობით და პატივისცემით გულში ატარებს.

შ. კალნდაძის სიტყვა წარმოთქმული დასაფლავებაზე.

ქართველ ემიგრაციას, ქართველ რიგებს კიდევ ურთი თავდადებული და დაუცხრომელი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეს, ელისე პატარიძე გამოაკლდა.

ელისე ეკუთვნოდა იმ თაობას, რომელიც მოწამე გახდა საქართველოს მკედრეთით აღდგომისა, საქართველოს დამოუკიდებლობისა და ეროვნული თავისუფლების განახლებისა, როგორც ყველა იმ დროის ახალგაზრდა — ის დიდი ენთუზიასტი იყო ქვეყნის დაცვისა და მისი დამოუკიდებელ სახელმწიფოს განმტკიცების საქმეში. ელისემ დაამთავრა ქუთაისის ქართული გიმნაზია, სადაც დირექტორად იყო იოსებ იოსების ფრიად პოსულარული, მთელ საქართველოში სახელმოხვეჭილი, ყველას მიერ დიდ პედაგოგად აღიარებული და მთელ წყება თაობათა აღმზრდელი და გზის მაჩვენებელი.

ელისე პატარიძე ეკუთვნოდა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას. ჯერ კიდევ 1917 წლის რევოლუციამდი ის მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა ქართულ გამნაზიაში არსებულ არალეგალურ ორგანიზაციაში; იქ იყითხებოდა მოხსენებები და იყო კამათი სხვადასხვა საკითხები; განსაკუთრებით ცხოველ ინტერესს იწვევდა იმ ხანად ნაციონალური პრობლემის გარშემო აღძრული დავა და პარტიობა, და ელისე უკვე მაშინ პოლემისტის ჩინებულ ნიჭის იჩენდა. 1917 წლის რევოლუციამ მას საშუალო სკოლის დამთავრების უმაღლ მოსსწრო. მაშინ საქართველოში ყველა დარტმუნებული იყო, რომ რუსეთი ომს წააგებდა, რასაც უსათურო რევოლუცია მოყვებოდა და ხელოვნურად შეერწიშებული იმპერია დამსხვრეოდა. ერთი სიტყვით, პეტაცექტივაში ჩაგრულ ერთა განთავისუფლების სანეტარო იმდები ისახებოდა. ამ იმდებს ფრთხები შეესხა, რამაც ქართულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ წრებში დიდი აღფრთვით იმდინარება გამოიწვია, განსაკუთრებით მშრომელებსა და ახალგაზრდობაში. დაემხო მეფის ძეველი აღმინისტრაცია, სოფლად და ქალაქებში შეადგინეს კომიტეტები, რომელთა ხელში ხელისუფლება გადავიდა. იმართებოდა კრებები და მიტინგები; იხილავდენ და არჩევდენ ახალ მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკირბოროტო საკითხებს. ამ ფერხულს არც ახალგაზრდობა ჩამორჩებოდა. ამ ფერხულში ელისე პატარიძეც აქტიურად იყო ჩაბმული.

საქართველოს დამოუკიდებლობის განმავლობაში ის ეროვნულ-დამოკრატიულ პარტიის მთავარ კომიტეტის სამდივნოში მუშაობდა, ესწრებოდა პარლამენტი — დამფუძნებელი კრების სხდომებს და უკანასკნელთა ანგარიშებს აქვეყნებდა პარტიის მთავარ ორგანოში განეთ „საქართველოში“.

მტრები საქართველოს თავისუფლებას უერთდებოდნენ. მას ყოველი მხრიდან უტყვდენ და აი, 1921 წელს, საქართველო ბოლშევიკური შემოსევის მსხვერპლი განდა. ამ ეროვნულმა კატასტროფამ ელისეზე ზარდამცემი გავლენა მოახდინა. მაგრამ, როგორც ყოველი ქართველი

საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობას ვერ შეურიგდა და ნიძალადევ რაეიმის წინააღმდეგ არალეგალურ მუშაობაში გადაეშვა. მისი მოუსევნარი ტემპერამენტიც აქეთენ მიიღოდა. მას უშუალო კავშირი ჰქონდა საქართველოს განთავისუფლების პარიტეტულ კომიტეტის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლოთან იასონ ჯავახიშვილთან; აწვდიდა მას ცნობებს და ლებულობდა მისგან სხვადასხვა მითითებებს.

საქართველოს დაბყრობის შემდეგ კომუნისტურმა ხელისუფლებამ სტუდენტების მიერ არჩეული გამგეობა გადააყენა და იმის ნაცელად ეგრე-წოდებული „რევოლუციური სამეული“ დანიშნეს. ეს სტუდენტებისათვის აშკარა ომის გამოცხადება იყო და სტუდენტობამ ეს გამოწვევა მიიღო. გადაწყვიტეს ერთ ფრონტათ დარაზმეა — გაერთიანება და უნივერსიტეტის შენობაში რევიმის საწინააღმდეგო გამოსცემების მოსახდენად დელეგაცია გააგზავნეს ივანე ჯავახიშვილთან. ივანე ჯავახიშვილმა დიდი მადლობა გადაუხადა სტუდენტობის დელეგაციას, რომ სტუდენტობამ მას ასეთი ნდობა გამოუცხადა და თან დასხინა: იმოქმედეთ ისე, როგორც თქვენი შეგნება და სინდისი გიყარნახებთ და ნუ დაერიდებით თვით უნივერსიტეტის შენობის გამოყენებასთ. ელისე პატარიძე ამ დელეგაციის ერთ-ერთი აქტიური წევრი გახლდათ.

1924 წლის საყოველთაო აჯანყების შემდეგ ელისეს საქართველოში დარჩენა შეუძლებელი გახდა და ის იძულებული იყო სამშობლო დაეტოვებია და უცხოეთს — საფრანგეთს შეეხიზნა. იწყება აქ სრულიად ახალი ცხოვრება, მაგრამ უცხოეთშიც მას პოლიტიკური და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე ხელი არ აულია. წერდა ქართულ პრესაში. კიდევ მეტი, ის ასე ვთქვათ, სულის ჩამდგმელი იყო ეროვნულ-დემოკრატიული პატარიძის სახლ-ვარგარეთის ბიუროს საქმიანობის. პრესაში თუ საერთო გამოსვლებზე, ელისე პატარიძე მხურვალედ ესარჩევებოდა და დაბყრობილ ერების ინტერესებს და მათ ლირსებას იცავდა.

გადახვეწილობაში ის ოჯახს მოეკიდა. თავის მეუღლესთან ერთად მან შექმნა ნამდვილი ქართული ოჯახი, ჩაუნერგა თავის შეილებს სამშობლოსა და საზოგადოებრივი საქმიანობისადმი სიყვარული. იყო პარიზის ქართველთა სათეისტომოს თავმჯდომარე 58—61 წლამდე; უცხოეთში მყოფ ქართველ მწერალთა და უურნალისტთა კავშირის გამგობის თავმჯდომარე და სხვა.

უკანასკნელ ხანებში ხანგრძლივად ის აეალმყოფობამ დამონა და ულმობელმა სიკვდილმა მოგეტაცა, რაც ჩვენთვის მეტად მძიმე დანაკლისია. დაგვტოვა სამუდამოდ, ლეთისა და სამშობლოს წიმაშე ლირსეულად ვალმოხდილმა ქართველი ერის ბრწყინვალე მომავლის რწმენით. ჩვენ კი სანუგეშოდ და მისაბაძად გვრჩება ელისე პატარიძის უანგარო ლეაწლი.

„ჟაუკუნო იყოს ხსენება მისი!“

3. სარჯველაძის სიტყვა

განგებამ თითქოს ჩვენთვის მოიცალა, ხელიდან გვაცლის ქართული საქმისთვის თავდადებულ, მებრძოლ პატარიოტებს. დღეს უცხო მიწას ვაბარებთ ელისე ჰატარიძეს, რომელმაც ახალგაზრდობიდან თავისი შეგნებული ცხოვრება ამსახურა ეროვნულ - საზოგადოებრივ საქმეს... როგორც ვიცით მის ახლო მეგობრებიდან, ახალგაზრდობიდანვე, ნაც. დემოკრატიულ პარტიის ხელმისაწვდელ ვანელობაში, ელისე პატარიძემ დაიკავა შესაფერი აღგილი. მიიპყრო ყველას ყურადღება თვისი მქერმეტყველობით, ერთგული შრომით და პარტიის მიერ დასახულ მიზანთა ერთგულობით. დამოუკიდებელ საქართველოს ხანაში, ელისეს თაობას წილად ხვდა განსაკუთრებულ მძიმე პირობებში მოღვაწეობა. ხშირად იძულებული ხდებოდა წიგნი ხელიდან გაეგდო და თოფით ხელში დაეცვა ახლად მოპოებული ეროვნული თავისუფლება...“

დაპყრობის შემდეგ, რუსეთის ჯარების შემოსულის წინააღმდეგ, მოწყობილ მანიფესტაციებშიც სტუდენტობამ მხუვალე მონაწილეობა მიიღო. ელისე ერთი იმათვანი იყო, რომელიც ხელმძღვანელობდა, წინ უძლოდა მანიფესტაციებს.

უპხოეთში იძულებით გადმოხვეწილი ელისე გაათკე-
უბული ენტრიით განაგრძობს ეროვნულ-განმ. თავი-
სუფლებელ ბრძოლაში მონაწილეობას. ჩვენ მას ეხედავთ
კველა საზიგადოებრივ თრგანოებში ხელმძღვანელის
როლში, სადაც თავის გულწრფელი, შეუწყვეტილი
შრომით იმსახურებს ყვალას პატივისცემას და ირ-
ჩევენ კიდევ ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარედ,
მწერალთა და უურნალისტთა კაშირის, თუ სხვა საზოგა-
დო-კულტურულ საქმეში მონაწილე, ხელმძღვანელი ეწე-
ვა უანგარო შრომას.

მქონდა შემოხვევა, რამოდენიმე წელი გვეწარმოებია
პოლიტიკური საქმიანობა, ის მუდამ იყო ლოიალური,
პოლიტიკურად მისებან უანსხვავებულ პოროვნების მიმართ
და მუდამ ცდილობდა ეროვნულ ძალას საერთო ფრონ-
ტი ყოფილიყო განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელ-
მძღვანელი.

ელისე პატარიძის მჭრელი კალამი და ენა პ. ტრიოტუ-
ლი პათოსით ამაღლებული, იპყრობდა ყურადღებას და
იზიდავდა ეროვნული ბრძოლის ფერხულში...

უნდა გვეწარდეს, რომ ჩვენი პატარია ქვეყანა, თავისუფ-
ლებას მონატრული, მოიპოვებს დამოუკიდებლობას,
და მაღლიერი ქართვლობა მოინახულებს ლევილის სასაფ-
ლაოშე ჩამწერივებულ მამულიშვილთა საფლებებს, მოკ-
რძალებით და მადლობის გრძნობით მუხლს მოიყრის მათ
სხვენის საპატივსაცემლად. მადლიერებით დახელავს
ელისე პატარიძის საფლებეს, რომელმაც პირნათლად მოი-
ხდა თავისი ვალი. სამშობლოს წინაშე.

+

ელის პარადისის ხსოვნისათვის

პირველად მას შევხდი 1917 წ. რევოლუციის დასაწყისში ქუთაისის ერთ გარეუბანში (საფიჩხია) გამართულ საჯარო მიტინგზე. იქ მან ილაპარაკა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სახელით, მეტად ვრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა და კრების ყურადღებაც დაიმსახურა. მეც მიერშეელო მოკლე სიტყვით. ბევრი თანაგრძნობით შეხვდა ჩევნს გამოსელას, რადგან ჩევნ ვილაპარაკეთ ახალი პარტიის პროგრამის შესახებ, უმეტესად ეროვნულ საკითხზე. მიტინგის გათავების შემდეგ ერთმანეთს გამოცემურაურეთ და ამიერიდან უფრო ხშირად ვხვდებოდით, სადა და სად საქართველოს ყოველ გზაჯერედინზე, პარტიის კრებებსა და მიტინგებზე. იმ ხანებში ეს იყო ყველა ჩევნი ახალე: ზრდობის იდეური გამოწვრთის და ორგანიზაციური მუშაობის, გამოცდილების შესაძენი სკოლა.

1917 წ. მარტში, მოწვევული იქნა ერ. დამოკ. პარტიის დამფუძნებელი პირველი კრილობა, რა თქმა უნდა, ამ დიდ შეკრებას დაესწრო ახალგაზრდობის მრავალი დელეგატი. ელ. პატარიძე, სხვებთან ერთად გამოვზაენილი იყო ბათუმის ორგანიზაციიდან. ჩევნზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყრილობაზე გამართულმა დებატებმა, პარტიის ლიდერების მოხსენებებმა. ზოგს მათ უკვე ვიცნობდით, ზოგნი ყრილობის შემდეგ გაეიცანით და დაუახლოვდით. როგორც ყრილობის ბოლოს მთავარი კომიტეტი აჩიქულ იქნა, მათ მოითხოვეს ახალგაზრდობიდან კომიტეტში შესულიყო ერთი წევრი მაინც. ახალგაზრდობის ურთიერთ შეთანხმებით, ერთხმად ელ. პატარიძე იქნა დასახელებული. ამრიგად ის შევიდა მთავარი კომიტეტის შემადგენლობაში. დიდ ხანს იყო მთავარი კომიტეტის მდივანი და საშუალება ჰქონდა მჭიდრო კავშირი დაემ-

ყარებით საქართველოს ყველა კუთხის ორგანიზაციებთან. მისი ეს პირველი საპასუხისმგებლო ადგილი, მან ლიტერატურად ატარა, ბოლომდის პირნათლად ასრულებდა ყოველგვარ დავალებას, რითაც დიდ სამსახურს უწევდა შარტიის ორგანიზაციურ ზრდას.

დამოუკიდებლობის დროს, უნივერსიტეტში სწავლის შეყაითად იგრძელებდა. სტუდენტთა საერთო ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობის ღებულობდა, ის სტუდენტთა კაფეირის გამგეობის წევრადაც იყო აჩჩეული და ქაც ყველას დიდ დახმარებას უწევდა, რითაც კი შეეძლო

თნამშრომლობდა ეროვ. დემოკ. პარტიის ახალგაზრდობის ჟურნალ „ახალ ძალაში“, ათავსებდა წერილებს სივადასხვა საკითხებზე. აგრეთვე გაზრდა „საქართველოს“ დავალებით სწერდა დამფუძნებელ კრების ანგარიშებს. იმ დროს ახალგაზრდობას მარტო სწავლისათვის არ ეცალა. საქართველოს ახლად შობილ სახელმწიფოს კოველ მხრიდან გაუჩნდა მტერი: თურქები ბოთუმს გვეცალებოდენ, ბოლშევიკები საქართველოდან გარიყულნი და საბჭოთა რუსეთს თავშეფარებულნი, ყოველნაირად ცდილობდენ ლენინის დახმარებით (ფულით, პროპაგანდით და აჯანყებით) ჩეენი დემოკრატიული რესუბლიკა დაემხოთ. ფულიც ბლომათ იხარჯებოდა გაბრიყებული ქართველი კომუნისტების მოსახლიდლად. საჭირო იყო მუდმივი სიფიზულე და მზად ყოფნა, ხშირად იარაღის ასხმა მოხალისეთ ბრძოლის ველზე გასცელა. ელისე, ჯერ ბათუმში იბრძოდა, როგორც ჯარისკაცი თურქების წინააღმდეგ; მონაწილეობდა სხვებთან ერთად, ბოლშევიკების ამბოხებების ჩაქრობაში. როცა საქართველოს რეალური განსაცდელი დადგა, ქართველ მოლალატეთა თაოსნობით, იმის გამოუქადებლად, წითელი არმია იარაღით ჩეენს საზღვრებში შემოიქრა, მთელი ქართველი ერი ცეხზე დადგა, სტუდენტობაც ერთობილად მებრძოლ ჯარს გვერდში ამოუდგა და ეაზიანის, კოჯორ-ტაბახმელის ფრონტზე შემოსეულ მტერს გმირულად ებრძოდენ.

ელისე მეგობრებთან ერთად, პრტილერისტ ილიკო მახარეძის ნაშილში იბრძოდა. ყოველი მხრიდან შემოსულ მტერს საქართველომ ვერ გაუძლო და დამარცხდა.

დამარცხებით დამარტინული, გულისტკივილით, მძიმე შთაბეჭდილებით ყველანი თბილისში დაებრუნდით. დიდხანს თავბრუდასხმული, ყველანი გაოგნებული ვიყავით, რომ ჩენი ეროვნული თავისუფლება ასე თვალის დახამხამებაში დაიკარგა. სასწავლოდ, ვინც უცხოეთში არ გახიზნულა, პარტიის ხელმძღვანელთა მოწევით ტუილისში შევიქრიბეთ სათათბიროდ, რათა შექმნილი სიტუაცია კრიტიკულად შეგვეფასებდა. დადგენილ იქნა საოცუპაციო რეეიმის წინააღმდეგ ამთავითე ახდილი ბრძოლა ვერწარმოები. შემდეგისათვის, ვინაიდან პოლიტიკური პარტიების ლეგალურია არსებობა შეწყდა და კანონ გარეშე გამოცხადდა, არალეგალური მუშაობა წამოგვეწყო, ასც უმთავრესად ახალგაზრდობას დაეკისრებოდა. ელ. პატარიძეს, როგორც მდივანს, დაბაქალაქებთან კავშირების დამყარება დაევალა. მან შემოიარა საქართველოს ყოველი კუთხე და საიმედო პირებთან მცირდო ჯაშირი გააბა, რომ მომავლის თვის ბრძოლაში ჩაბმულიყენ.

პირველ ხანებში საოცუპაციო რეეიმი სიმტკიცეს მოკლებული იყო, მხარს ცოტანი უქერდა და ჯერ კიდევ ადევილი იყო შედარებით თავისუფალი მოქმედება.

დაიწყო პარტიების შორის მოლაპარაკება, რათა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ბრძოლა შეთანხმებით ეწარმოებით. შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი — ყველგან პარტიათა პარიტეტული კომიტეტები ჩამოყალიბდა. პირველ რიგში, უნდა 26 მაისის დამოუკიდებლობის დღე, მასიური დემონსტრაციებით აღნიშნულიყო. მართლაც, მაისის დღესაწეული (1921 წ.) უნაკლოდ ჩატართდა. ელ. პატარიძეს, ყველა თანამებრძოლებთან ერთად, ამ წინააღმდეგობის ორგაზაციის მოწყობაში თავისი წელილი აქვს შეტანილი, არც საოცუპაციო ხელისუფლება დარჩა უაქტივოდ;

მაშინვე რეპრესებს მიმართეს: დაპატიმრებულნი იქნენ გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწენი, ყოფილი მინისტრები, ყველა პარტიის ლიდერები და მეტების ციხეში გამოაწყვდის. ამავე დროს, საბჭოთა მთავრობის თავმჯდომარე (ბუღალტი), მუშათა დელეგაცია წარუდგა და მუშათა კლასის სახელით, საქართველოს და ყაზარის გამო წერილობით პროტესტი გადასცა და მოიხოვა საოცებაცია ძალების საქართველოს საზოგრებიდან გაყვანა, რეფერენდუმის მოხდენა და პოლიტიკური ტუსალების განთავისუფლება. განრისხებულმა ბ. მდივანმა, სასწრაფოდ ჩეკას გამოუძახა და მუშათა დელეგაციის წევრები ადგილზე დაპატიმრეს. ამან დიდი აღშუოობა გამოიწვია ტფილისის საზოგადოებაში და ყველანი ბრძოლის გუნებაზე დააყვანა. უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის თავმჯდომარემ გ. ნაკაშიძემ და გამგეობის წევრმა ელ. პატარიძემ ფეხზე დააყვნეს სტუდენტთა მთელი კრებული, ორთავეს მშექარე სიტყვებმა, მათზე ძლიერ იძოქმედა და აგზნებული გრანატიზული დემონსტრაცია, აზვირთებულ ტალასავით დაეშვა რუსთაველის გ. მზირზე, ისე რომ გამოყვანილ ჯარის ნაწილები და ჩეკა უძლური აღმოჩნდა მათთვის გზა გ. დავითობათ. სასახლესთან მიტინგი გაიმართა: ლოზუნგებით გუგუნებდა სტუდენტთა თავმოყრილი მასა, (გზადაგზა მათ ბევრნი მოქალაქეენი შეუერთდენ) — „ძირს სიოუპაციო მთავრობა! გაუმარჯოს თავისუფლ საქართველოს! ს. ორჯონიშვილის განკარგულებით ჩეკისტებს და წითელ არმიის ჯარისკაცებს იარალისთვის არ მიუმართავთ. მხოლოდ შემდეგ დაპატიმრეს დელეგაციის ხელმძღვანელნი.

ბრძოლა ამით არ დაწყებულა და არც გათავებულა. ბძოლის უფრო სისტემატიური და მწყობრი ხასიათი მიეცა; მთელი საქართველო მებრძოლთა ორგანიზაციებით დაიფარა.

ელ. პატარიძე მეგობრების მონაწილეობით მთელის არსებით ჩაება არალეგალურ მოძრაობაში. დიდ ხან, მ. ლულად ცხოვრობდა და მხნედ იტანდა არ ლეგალურ ბრძოლის სიძნელეებს. პარტიის ცენტრის დავალებით მე-

ტად სახიფათო მოვალეობას ასრულებდა. მუდმივად ორგანიზაციებთან კავშირის დამყარება, მებრძოლთა გამხნევება, აჯანყებისათვის ფრთხილი მზადება არც მთლად მსუბუქი ტეირთი იყო. როცა აჯანყების დანიშნული ვადა 25 მთის 1924 წ. სამი თვით, ავეისტოსთვის გადაიდო (დიდი ჩავარდნების გ მო), ის ამ გარემოებამ მეტად შეაწუხა, რაღაც ავადმყოფობის ვამო, მასში მონაწილეობას ვერ მიიღებდა. მას ჯანმთელობამ უღალ ტა, დაძაბულმა აქტივობამ, გამუდმებით ფარულმა ცხოვრებამ ნერვუბზე იმოქმედა და იძულებული იყო ცოტა ხნით დაესცენა, არალეგალურ მუშაობას დროებით უნდა გასცლოდა და ემცურნალა, იმ იმედით, რომ სულ მალე მებრძოლთა რიგებს დაუბრუნდებოდა. მისი ავადმყოფობა მეტს ხანს გავრცელდა, ვიდრე ის ფიქრობდა, ასე რომ მას უშუალოდ აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია, რასაც სიცოცხლის ბოლომდის ნანობდა.

ავეისტოს აჯანყება დამარცხდა; საქართველოს ბეჭმა კიდევ ერთხელ უმტკუნა და დაიწყო ელისეს, ემიგრაციის ეკლიო მოფენილი გრძელი ეპოქა.

ელ. პატ. რიძე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმს შეუერთდა და შალვა ამირეჯიბთან ერთად, თურქეთში გადმოვიდა. იქიდან საფრანგეთს შეეხინა, ჯერ ვალენტინეში (ფრების დისარტამენტი), პექოს ქარხანაში ფიზიკურად მუშაობდა, როცა ფრანგული ენა საქმაოდ შეისწავლა, ფრანგმა მეგობრებმა სამუშაოდ ბიუროში მოაწყვეს. ენერგიული ელ. პატარიძე უმოქმედოთ არც აქ ჩერდებოდა, უნდოდა რამე გ ცკეთებია, რომ საქართველოსაოფის სასამართლო ყოფილიყო. იმავე ფრანგი მეგობრების დაბარებით, მასალების მიწოდებით, გან. „პეტ მონბელიარ-ში“ შესძლო გავლენიანი პასტორის მეოხებით, რაც დენიმე სტატია დაბეჭდილიყო საქართველოს ისტორიაზე, მის თანამედროვე მდგომარეობაზე, ჩეპჩესიებზე და აჯანყების სისხლში ჩახინბაზე, სარწმუნოების დევნასა და ქათალიკოს ამბროსის გასამართლებაზე.

- მის დამსახურებად უნდა ჩითვალოს რომ დ. სინჯიკაშვილის დახმარებით ვალენტინეში ქართული სტამბა გა-

იმართა და გამოიცა ალ. ასათიანის და ზ. ავალიშვილის წიგნები და უურნალები. აქვე იბეჭდებოდა ქართველი მხედრების უურნალი პ. აბულაძის ხელმძღვანელობით, ქვე გამოიცა ქართული კალენდარი.

შემდეგ, 1930 წლის დამლევს ის გადიყვანეს პარიზის პეტოს ბიუროში, სადაც წლების განმავლობაში მსახურებდა. ამავე დროს დაჯახად, შვილები შეეძინა. თავის მეულე თამართან ერთად კომერცია წამოიწყო, რომ ოჯახი ეზრუნველეყო და შეილებისათვის განათლება მიეღებინებია. მუხედავად იმისა, რომ კომერციის წარმოება ბევრ დროს ართმევდა, ის მაინც ახერხებდა დრო ეხელთ და პარალელურად, პოლიტიკური მუშაობაც გაეგრძელებია, როგორც იმას მოითხოვდა ჩვენი ერის უფლებათა დაცვის ინტერესები: უცხოელებში პროპაგანდის გაწევა, მემორანდუმების შედგენა და მ.თი დაგზავნა, საქართველოს ქომაგი მეგობრების შეძენა და სხვა.

ამასთან ერთ-და საჭირო იყო პოლიტიკური და პარ-ტიული მუშაობის გაცხოველება. ელ. პატარიძე ალ. ასათიანის ყელაზე უფრო ახლო თანამშრომელი იყო. აცემებოდა უურნალი „სამშობლო“, შეი წერილებს ბეჭდავდა სხვადასხვა საჭირობორიტო საკითხებზე და ალ. ასათიანის ყოველგვარად შეელოდა. 1937 წ. პატარიძის დარსების 25 წლისთავისათვის პარიზში საზემო სხდომა გაიმართა, ბევრი დალაგ-ტების და სტუმრების თანდასწრებით. ამ შეკრების ორგანიზაციური მხარე მის უნარს უნდა მიეკუთხნოს.

მან დასწერა ერთი ნარკევე დემოკრატიზმის კრიზისის შესახებ. ჯერ მოსხენებათ წაკითხული პარიზის სათვისტომოს კრებაზე, შემდეგ ბრიტურად გამოიცა.

იმ დროს როცა ეს წიგნი იწერებოდა, დემოკრატიზმის ფაზიზმის იდეოლოგიის გავრცელებით, კრიზისს განიცდიდა და მის შესახებ, იმ უამაღ, ბევრი შრომები დაიწერა, სადაც ამტკიცებდენ, რომ დემოკრატიული რაյიმის რეფორმა აუცილებელი იყო. ყველას მაშინ ამის უებარ საშუალებად მიაჩნდათ პარლამენტის უფლებების შეზღუდვა. ელ. პატარიძემ მათი კონცეპცია გაიზიარა. შეიძლე-

ბა ითქვას, რომ წიგნს აქტუალური მნიშვნელობა დღესაც
არ დაუკარგავს და იქ აღძრული საკითხები კ რგად და-
საბუთებულია და ახლაც ინტერესით იკითხება.

ელ. პტარიძე მორწმუნე კაცი იყო. ის ერთერთი და-
მაარსებელია ქართული ეკლესიის პარიზში. იყო სამჩევე-
ლო ს მქონ მდიდარი. აგრეთვე იყო საფრანგეთის ქართ-
ულ ემიგრანტების სათვალესტომოს თავმჯდომარე და
გულისხმიერად ემსახურებოდა ემიგრაციის წევრებს,
რომელიც დახმარებას საჭიროებდენ. ახალგაზრდებს
შორის კულტურულ მუშაობას ეწეოდა, მათ სამშობლოს
სიყვარულს უნერგავდა.

აწ განსევნებულ ლევან ზურაბიშვილთან ერთად იყო
დამაარსებელი ქართული ეროვნული ცენტრის.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, ქართუ-
ლი პოლიტიკური ემიგრაციისათვის, თითქმის გამოუვა-
ლი მდგომარეობა შეიქნა. საბჭოთა კავშირმა მოკავში-
რეთა დახმარებით გაიმარჯვა და უძლიერეს სახელმწი-
ფოდ გახდა. სტალინის ყოველ მოთხოვნას ძალა-უნებუ-
რად აქმაყოფილებდენ. ქართული პოლიტიკური, წრეები
სასოწარკვეთილების მაინც რ მისცემიან, ხელსაყრელ
მომენტს ელოდებოდენ, რომ პოლიტიკური მუშაობა
კელავ წამოწყოთ, თუმცა ამ ხნის განმავლობაშიც
მთლად შეწყვეტილი არ ყოფილა და ბეჯითად წარმოებ-
და დარჩენილ ძალთა თავმოყრა. ამასობაში ცივი თმის
ხანა დაიწყო. დასაცლეთის თავისუფალმა სახელმწი-
ფოებმა გადასწყვიტეს საზღვარი დაედგათ საბჭოეთის
გაუთავებელ მოთხოვნილებათათვის.

ჩეენ ვისარგებლეთ ამ შემთხვევეთ და პერიოდული
ეურნალი „ივერია“ გამოეცით. ვინაიდან იმ ეამად პარ-
ტიის თავმჯდომარე ალ. ასათიანი ესპანეთში იმყოფებო-
და, გემოცემის ინიციატივა ელ. პატარიძემ ითოვ და
სიმძიმეც მას დააწეა თავზე: ეურნალის გამოცემის ნებარ-
თვა, ფულის შეგროვება, თანამშრომლების შემოკრება,
რედაქტორობა, გამოცემის ტექნიკური მხარე და სხ.
ეურნალის გამოცემა დღემდის არ შეწყვეტილი და მისი
არსებობა მუდამ მის სახელთან იქნება დაკავშირებული.

հույս ալ, ասատօնո մոռվարդնելած ցարժանցալա, մուս ագոյլս, տաշմչալոմահու ըլ. Յարարությ օգորիոյտ. գույն կալոնիս პոլորոյս մողաքիս პհերենիս մաս առ քյոնա, տցոտոնեց մինոնի: առա մովուցածուս, արամեց թասուեսցածուս դա մոցալուցուս թշգնցիտ, մոյրմալոյցիտ ցուտացեց մի ագոյլս, հոմելուց წոնած ցյացատ և նորություն կը գույս դա ալ. ասատօննսու.

Մենք սիմահությ ուղյաս, ու պատճեն լոռնոսեցածուտ, մուս ցոնցի հոյու դա գունչոյուրու Շեսամլցածունուս პորության ասրաւությ մաս աւագուստուրու մոցալուցուս, սայսահությունու գոմուցուցածունուս ուղյաս լաջերեցածուտ ուրացա, մըրէսաւ ցացուրություն դա գունչություն ցանցության, Յարություն և սաելուս Շենահինեցածունուս ծեցրո համ ցացյուտա, ցուլս առ ուրբեցա, հոմ ցս ծրմունա տացուս ժրությ նայուցս ցամունցաթյան:

Ել. Յարարությ ծրմունուս ցանցու մանճունու սաելուց նազ ցանցու, Շեսամլցածու դա գունչուրու նեծուտ, սուլուրու դա գունչուրու սիմրուցուտ. դասաելուն մունչունուտուս արասուցյ շալալարու, սանմ չանմիրություննա եղլս պայմանական անգույնու պատճենուցուս սրուցուրած ուրանցա, մաշ-համ լայացածամ դա սիմրությ Շեմիրալցամ և ուրություն: աղսահություն ցարժանցալուա. պատճենությ հայտնու Յարությունուտուս ցս դանցալուսու մերագ սացունունու, մեծիմուլ հոցեցածունուտուս մուս դայ հայտ աշնանցալուրեցալուա. ման Յարնատունած Շեսահությ ծեցուսացան ցայսուրություն մամուլումցունուրու մոցալունու դա սամթունուս սայսրությունու տացուս վալունու սանցարու մոութան: մուս մոմացալու ծեցնուրեցածունուտուս. մտամոմիացլունու մաս արասուրուս դանցություն դա ուստորուաց տացուս եցեցր վոլս մունչուաց.

Կը տունած մոցոցոնեցած մուս եսոցնաս ծրմունուս Շեսամլցած ցարժանցալուա!

Սասունու ոյուս եսցեցան մուսու!

† ელის პატარიძე

მებრძოლთა რიგებს გამოაკლდა კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი, მაგარი მებრძოლი, ელის პატარიძე.

ელის პატარიძე დაიბადა 1896 წლის 16 ივნისს, სოფ. ნაკარევში (ქუთაისის მახლობლად). ოთხი წლისა იყო ელის მამა რომ გარდაეცვალა. ობლიდ დარჩენილს, ზრდიდა დედა და მმის მმის შევილები. ელისეს მამის ოჯახი მთლიანად ჩევოლუციონურ მოძრაობაში იყო ჩაბმული. მისი ბიძაშევილები აქტუურ მონაწილეობას იღებდენ 1905 წ. რევოლუციაში, ხელს უწყობდნენ და ინახავდნენ ქუთაისის ციხიდან გაქცეულ ტუსაღებს და სხვა. იგინივენი, ბაეშვილიდან წრთვილი ელისეს ჩევოლუციურ მოძრაობაში; ხშირად იყენებდენ მას სხვადასხვა რაზმებთან ეავშირისათვის. ამგვარად ელისე მოწმე გახდა რუსების მიერ ჩადენილ მხეცურ საქციილისა, რომელმაც, ალბათ, წარუშლელი კვალი დატოვა ბევშვის მეხსიერებაში და დაუაუალების შემდეგაც მის საზოგადოებრივ საქმიანობაში, უეჭველად გავლენას ახდენდა.

სოფელ ჭიშურაში, კაზაკებმა ალყა შემოარტყა წითელ რაზმელთა ბინას, ბაეშვი ელისეც იქვე იყო, აცვლანი დაატუსაღეს და ქუთაისისკენ წაიყვანეს. ელისეც ერთმა კაზაკმა თავის ცხენზე უკან მოისვა. წყალწითელას ხიდზე რომ გადიოდენ მათ, კაზაკების სხვა ჯგუფი შემოეყრა და მთთან მყოფი უფროსის ბრძანებით კაზაკებმა ტუსაღები ხმლებით აჩეხეს. ატირებული ელისე, ქუთაისში დაბრუნებულმა კაზაკებმა ქუჩაში გაუშვეს. ამ კაზაკებს თან ახლა ჯაშუში კვინსაძე.

კიდევ ერთი მკვლელობის მოწმე იყო პ. ტარა ბაეშვი: მისი ერთი ბიძაშევილი ელისეს თვალწინ მოჰკულეს უადარმება, ქუთაის—ტყიბულის ლიანდაგზე.

მისმა ბიძაშევილებმა ელისე ჭიათურაში, სკოლაში მიაბარეს, მაგრამ ბაეშემა დედის მოშორება ვერ მოითმინა, ვინარა და სოფელში დედასთან დაბრუნდა. უფრო გვიან, იგი დედამ ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზია-



ში მიაბარა. აქ მან სწავლისა და მეცადინეობის ღილი უნარი გამოიჩინა და მალე საუკეთესო მოწაფე გახდა. ცნობილმა პედაგოგებმა და პატრიოტებმა: ი. ოცხლმა და ს. ხუნდაძემ ბავშვს ყურადღება მიაქციეს; სწავლის ხარჯებიდან გაანთავსუფლეს და ყოველ შესაძლებელ მფარველობას უწევდენ მას. ისეს რცხველის დარიგებით ელისე მონაწილეობს გიმნაზიაში არსებულ პატრიოტულ ჯუფის ქართულ კულტურულ, მამულიშეილურ საქმიანობაში. 1917 წელს იგი ამთავრებს გიმნაზიას და ახლად დაარსებულ ქართულ უნივერსიტეტში, ეკონომიკურ ფაქულტეტზე ირიცხება.

დამოუკდებლობის ხანაში იგი უკვე ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტის მდივნის მოვალეობას ასრულებს. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს საარჩევნო კამპანიაში და პროპაგანდის ღიღე უნარს იჩენს.

1918 წლის, ბათუმის ომის დროს, ელისე ჯერ მოხალისეთა შეკრებაზე მუშაობს, ხოლო შემდეგ, როგორც მოხალისე, ამავე ომის მოხალისეა, საარტილერიო ნაწილში ჩარიცხული.

უნივერსიტეტშიც ელისე მოწინავე სტუდენტია და სტუდენტთა ორგანიზაციებში, თუ მათ მოძრაობაში, ყოველგან ხელმძღვანელთა რიგებში იმყოფება.

საქართველოს დაპყრობის შემდეგ ეს მისი მოღვაწეობა შენელების მაგივრად კიდევ უფრო აქტიური ხდება: და იგი აქტიური მონაწილეა ყველა იმ მოქმედებისა, რომელსაც ანტიუმუნისტური და ანტირესული ძალები ქვეყნის განთავისუფლებისათვის ეწეოდნენ. იგვისტოს აჯანყების დამარტების შემდეგ, ელისე იძულებულია უცხოეთს გაიხიზნოს და ღიღის გულისტყივილით სტოკებს სამშობლოს.

მცირე ხანს პარიზში ყოფნის შემდეგ, ელისე პატარიძე პროეინციაში მიდის და სოფელ ვალენტინეში უბრალო მუშათ შედის „პექას“-ს დიდ ქარხანაში. იგი მძიმე სამუშაოს არ უშეინდება, გულს რ იტეხს და მუშაობასთან ერთდროულად, დაუსწრებელ კომერციულ კურსებზე იწყებს მეცადინეობას, რომლის დამთავრების შემდეგ



იგი ბიუროში გადაჰყავთ მოანგარიშეთ. იგი მუდამ დახმარებას უწევს თავის თანამემამულეებს ქარხანაში მოსაწყობათ, აღმინისტრაციასთან შუამდგომლობით და სხ.

აღგილობრივ ქართველებთან ერთად ააჩვებს კულტურულ წრეს და მისი ინიციატივით ეწყობა მრავალი მოხსენება, რელიგიურ და ისტორიულ დღესასწაულთა ოღნიშენა, ვალენტინეშივე ე. პატარიძე უკავშირდება აღგილობრივ სამლელობას, აცნობს მათ ქართულ საკითხს და ამგვარად, აღგილობრივ პრესაში ქვეყნდება წერილები საქართველოში. მისივე ცდითა და მეოხებით, იქვე ეწყობა ქართული სტამბა და იბეჭდება უურნალი „სამშობლო“, ალექსანდრე ასათიანის წიგნი „ძველი და ახალი მემკვიდრეობა“, ზ. ავალიშვილის წიგნები და სხვა.

ვალენტინედან ე. პატარიძე გადაჰყავთ პარიზში, იმავე „პეტ“-ს მთავარ ბიუროში, აგრეთვე მოანგარიშეთ და იქაც, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო მეტი ხალისით და ენერგიით განაგრძობს ქართულ ასპარეზზე მოღვაწეობას.

პარიზში ე. პატარიძე ცოლად იჩთავს ელადიმერ ილშიბარის ასულს, რომელმაც მას ლირსეულად ულლის გაწევით, სემუალება მისცა შესანიშნავი ქართული ოჯახის მამა გამხდარყო. მათ აღზარდეს სამი შეილი; ორი ქალი და ერთი ვაჟი, — აღზარდეს ნამდვილ პატიოსან და ლირსეულ ქართველებად; ნამდვილ ქართულ ტრადიცებზე, გულში ღრმად ჩანერგული სამშობლოს სიყვარულით.

ომის დროს ელისე „პეტოსთან“ სამსახურს თავს ანებებს და პატარა კომერციას იწყებს. ამ საქმეშიც მისი მეუღლე თამარ მის გვერდით არის და მასთან ერთად მუშაობს.

ელ. პატარიძემ განახლა უურნალი „იკერია“, რომლის დირექტორიც იგი სიკვდილის დღემდე იყო. იგი მოლვაწეობდა მშობელთა კომიტეტში რომელსაც თავმჯდომარეობდა. მისი ინიციატივით დაარსდა საშინაო სკოლა ქართველ ბაეშვებისათვის, ქართული ენის შესასწავლად. იგი იყო ერ. დემ. პარტიის ორგანიზაციის ხემძღვანელი

საფრანგეთში, მორიგი თავმჯდომარე ეროვნული ცენტ-რისა, უურნალისტთა კავშირისა, ქართული სათვისტო-მოსი და სხვა.

1938 წელს მან გამოსცა წიგნაკი „დემოკრატიზმი“.


მიუხედავად მძიმე შრომისა, რომელსაც ოჯახის რჩება და შეიღების აღზრდა მოითხოვდა, მას ეროვნული საქ-მისთვის მოღვაწეობა ერთი წუთითაც არ შეუნდღებია. ბოლოს, როდესაც იეადმყოფობამ დასძლია ამბობდა: ჩვენს საქმეს კარგი მოამაგრე ჰყავს და ლევან ზურაბიშ-ვილს გულისხმობდა. ელისე და ლევანი ერთ პოლიტიკურ ოჯახს ეკუთხნდენ და დიდი ხნის განმავლობაში მხარი მხარ მოღვაწობდნენ. ორივე ერთსა და იმავე დღეს გაგეშორდა 10 თებერვალს, სწორედ იმ თვეში, რომელიც ჩეენი ქვეყნისათვისაც ასე საბედისწერო იყო.

ისინი წავიდნენ ვალმიხდილნი სამშობლოს და ოჯახის წინაშე. ელისეს და ლევანს ბევრჯერ მიუკილებიათ დიდი მებრძოლი ქართველი ლევილის ქართულ სასაფ-ლაომდე. სიტყვაც უთქვამთ, მაგრამ უცრემლოთ, რადგან ისინი ბრძოლაში დაცემულთა საქმეს განაგრძობდნენ. ჩვენც უცრემლოთ მივაცილეთ ელისე და ლევანი სასაფ-ლაომდე, იმ ვალდებულებით რომ მათი მეგობრები და თანამებრძოლები შეუნდღებელ ბრძოლას განვაგრძობთ, ბრძოლის დროშას არ დავკეცეთ. არც მათი შვილები და სხვა ქართველები, ახალგაზრდები, ბრძოლისათვის მათ მიერცე აღზრდილნი შესწყვეტავენ ბრძოლას და კარგულ თავისუფლების მოსაპოვებლად. ბარბაროსულ ბოროტებაზე სიმართლის გასამარჯვებლად.

გეწამს რომ მაისის მზე გაალლობს თებერველის ყინვას! საუკუნო იყოს ხეენება მათი!

გაუმარჯოს საქართველოს!

ალ. აბაშიძე.



† ლევან ჭურაბიშვილი

ა/წ. ათ თებერვალს გარდაიცვალა, პარიზის ქართული სათეატრომოს თავმჯდომარე, ლევან ზურაბიშვილი

მისი დაკარგვა მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო. მოულოდნელი იმიტომ, რომ ვიღრე მას საშინელი სენი აღმოაჩინდებოდა, რომელმაც ის ჩვენ სულ მოკლე დროში მოგვტაცა. იგი ენერგიით და სამოქმედო უნარით სავსე მრავალმხრივ მიმართულ მოლვაწეობას ეწეოდა. თავზარდამცემი იმიტომ იყო, რომ სწორედ მისი მრავალმხრივი მოლვაწეობით და ამ მოლვაწეობის დროს ვამოჩენილი უნარით მას ჩვენს სამოქმედო ასპარეზზე პირველი ადგილი ეჭირა.

ლევან ზურაბიშვილის დაკარგვა მთელმა უცხოეობი გაფანტულმა ქართველობამ მძიმედ ვანიცადა — ვით ეროვნული გლოვა.

უურნალი „ივერია-ს“ რედაქტორ, ულრმესი ტეივოლით, თანაგრძნობას უცხადებს მის დამწუხრებულ ოჯახს.

† ლევან ჭურაბიშვილის ხსოვნას მიეძღვნა „თავი“-უფლების ტრიბუნა“-ს სპეციალური ნომერი, რომელშიაც დამეტყველია ვრცელი მასალა, როგორც გარდაცვალებულის მოღვაწეობის, იგრეთვე მისი დაქრძალვის შესახებ. და რადგან ჩვენი უზრნალის ყოველ მკითხველს, „თავისუფლების ტრიბუნა“-ც მისდის, ჩვენ თავს ნება მიუსცით, მხოლხდ ზემოდმოყვანილ განცხადებით დავკმაყოფილდეთ.



† პირობი ნოზაძის გარდაცვალება

24 აპრილს ხანმოქლე აეადმყოფობის შემდეგ, 81 წლის პასაქში გარდაიცვალა, ვეფხისტყაოსნის ღილი კომენტატორი, მწერალი, პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე, ვიქტორ ნოზაძე.

გრძელი და ნაყოფიერია მის მიერ განვლილი საზოგადოებრივი ტბოვრება, რომელიც ქუთაისის ქართული გიმნაზიის მოწაფის უზრნალისტური ტატით ღიმიშვილ და ქართულ ძელ კლასიკურ ფილოლოგის ერთერთ უპირველეს მეცნიერის სახელის მოხვევით დასრულდა.

ვიქტორ ნოზაძემ სრულწლოვანობის მიღწევის შემდგომი სიცოცხლის პირველი ნახევარი, პოლიტიკურ ასპარეზზე მოქმედებაში დახარჯა, ხოლო მეორე ნახევარი, მეცნიერულ დარგში შრომას შესწირა, და უნდა ითქვას, რომ მისი მოღვაწეობის მეორე ნახევარმა, პირველი ნახევარი საქმიოდ დაჩრდილა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი პირველისათვის უუნარო იყო და მეორესათვის უნარიანი. არა ამის მიზეზი ის არის რომ ემიგრაციაში მყოფ ქართველისათვის პოლიტიკურ მოღვაწეობის შესაძლებლობა ფრიად შემოფარგლულია და რაც მთავარია, არაეთარი ხელშესახები რეზულტატის მიღების პერსპექტივა მას არა აქვს. ხოლო მთავარი მიზეზი ის არის, რომ ვიქტორ ნოზაძის მოწოდება, პოლიტიკა კი არა, მეცნიერული კალევაძიება იყო. და სწორედ აქ ვაკ-



ვა გაშლისა და გამომედავნების საშუალება, მისმა ვანთლებამ, მეცნიერულმა ალლომ და შრომის უნარმა.

მართალია თავისი ძმის გიორგის მადლით მას საარსებო წყარო უზრუნველყოფილი პქონდა, ისიც მართალია, რომ მას შეეძლო, ფრინჯულ, გერმანულ, ინგლისურ, რუსულ, ქართულ და ესპანურ წყაროებითაც უშუალოდ ესარგებლნა, მაგრამ გასაოცარია და პატივსაცემი მისი უხვად ნაუფიერი შრომა, რომელსაც იგი ძნელ პირობებში ეწეოდა. არავითარი დამხმარე, საკუთრივ მუშაობაში, თუ კორექტურის არ ჩავთელით, რასაც ჩვენ, მისი მეგობრები ვუკეთებდით და რისთვისაც იგი, მაღლობის ნაცვლად, გვეიცავდა ცუდათ აკეთებოთ, მას არ ჰყოლია.

იგი შევსა სწერდა მერე ათეორებდა, ლინიტიპზე აწყობდა, გვერდებად კრავდა, სტამბაში მიჰქონდა. სხვა და

სხვა ქვეყნებში თვითონვე აგზავნილა და ამისათვის საკირო ფინანსიურ საშუალებათა პოვნაზედაც თვითონვე ზრუნავდა.

დედა ჩიტის, თავისი ბარტყებისათვეს ზრუნვას ჰვავდა მისი ზრუნვა, თავის ნაშრომთა იმ ტომებისათვის მან რომ ასე უხვად გმოჩერა.

იგი თავის საქმეს ნამდვილ ვნებით შეპყრობილი იყო თემდებდა, რისთვისაც მას ის შეგნება ამოძრავებდა, რომ ამით იგი თავის ქვეყნის კულტურას ე. ი. თვით ქვეყანას ემსახურებოდა.

ემიგრაციაში მყოფი ქართველობის უფროსი თაობა თავის მოვალეობას ღირსეულად ემსახურა, ამათში ირიცხება ვიქტორ ნოზებეც, რომლის პიროვნება ცალკე გამოიჩინა იმის გამო რომ მან, სხვათა პოლიტიკურ მუშაობისაგან განსხვავებით, ისეთი დიდი ზომის კულტურული შრომის გაწევა შესძლო, რომელმაც საქართველოშიც დიდი გამოხმაურება პლავა და საბოლოოდ, ემიგრაციის პრესტიჯის აწევას და საქართველოში ჩეცნდამი სიმპატიების გაძლიერებას ემსახურა.

მიხეილ ქავთარაძე.

ჩვენ და ჩუსეთი

რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის დაპყრობამ თრნაირი სახის უბედურება მოგვიტანა: კომუნისტური რეჟიმი და ეროვნული ჩაგერა. ამათთავან პირველს რუსეთიც განიცდის. საკითხი ისმის რუსეთმა რომ კომუნისტურ რაჭიმს თავი დააღწიოს, რა პერსპექტივები არსებობს ჩვენი და რუსეთის ურთიერთდამოყიდვულებისათვის.

უმეტეს შემთხვევაში, როდესაც ერთი ერის მიერ გეორე ერის ჩაგვრასთან გვაქვს საქმე, მჩაგვრელი ერის შეილებს არც გულსა და არც გრძნობას დაჩაგრულთა ჩიუკლი არ ემის — თითქმის ვერ გაუგია, და ეს ასე ხდება არა მარტო უბრალო მოქალაქეთა შორის, ან მმართველ

წრეებში, არამედ იგივე ემართება, ძალიან იშვიათი გა-
მონაკლისის გარდა, დამპყრობი ერის რჩეულ ადამია-
ნებსაც.

პუშკინი იყო ჰუმანისტი, ლიბერალი, იგი ცარისტულ
რევილის ნაქლებს იცნობდა და ჰეიცხავდა, მაგრამ რუსე-
თის მიერ, პოლონეთის განმათავისუფლებელ მოძრაობის
მოხრიობას ხოტბა შეისხა, როგორც საკუთარი ქვეყნის
ძლევამოსილების გამოვლინებას. როგორ და რატომ ხდე-
ბა ასეთი რამ? ეს იმიტომ ხდება, რომ ნაციონალიზმი,
რომელიც როგორც ჩაგრულებს ასევე მჩაგვრელებსაც
ახასიათებს განსაკუთრებული თვისების მატარებელი
გრძნობაა, რომელსაც მისი მქონე ადამიანის დამრმავე-
ბის უნარი აქვს. ნაციონალიზმი უკეთილშობილესი საწ-
ყისიდან გამომდინარე გრძნობაა, მაგრამ იგი ამ კეთილ-
შობილების დიდ ნაწილს ჰქარგავს, როგორც კი პოლი-
ტიკის გაელენაში მოექცევა. რაღაც პოლიტიკა, სახელმ-
წიფოს მართვის და მისი ინტერესების მსახური იარაღია,
ხოლო სახელმწიფოს ინტერესთა დაცვაში, თუმცა კეთილ-
შობილება გამორიცხული არ არის, მაგრამ იშვიათად თუ
ეინმე ანგარიშს უწევს მას. ძალიან ხშირად ხდება რომ
თვით ჩაგრული ერგბიც, თავიანთ შინაურ საქმეებში,
თვითონვე მჩაგვრელობას ჩადიან და ასეთი ერის შეილე-
ბი ამას ვერ ამჩნევენ, ან თავიანთ ქვეყნის სიყვარულით
და ინტერესებით გატაცებული, სხვადასხვა არგუმენტე-
ბით, მათი საკუთარი ერის მიერ ჩადენილ მჩაგვრელობას
სრულიად გულწრფელად ამართლებენ.

დღევანდელი რუსეთი, ისტორიულად, ნაციონალიზმის
უზენაეს განვითარების ხანაში იყო იმყოფება. იგი ყველაზე
დიდი იმპერიალისტური და ნაციონალისტური სახელმ-
წიფოა და რუსები, სრულიად ბუნებრივია, საკუთარი
ძლიერებით და დიდებით შოტრალნი არიან.

ის პარადოქსი, რომ ეს იმპერიალისტური სახელმწი-
ფო, ამავე დროს, ინტერნაციონალურ კომუნისტურ დოქ-
ტრინის კერაც არის, მხოლოდ კურიოზული ისტორიელი
თანდამთვევის ბრალია. თორემ ვინ არ იცის, თუ რო-

շորո՞ւ մռեցրեծիոտ და მიღწეუებით იყენებს რუსეთი სწო-
რედ ამ ინტერნაციონალურ დოქტრინას თავისი ნაციონა-
ლიზმის სასარგებლოდ.

თანამედროვე რუს ანტიკომუნისტთა შორის აქა-იქ
გაისმის ხმა, (სოლუციონისტი, სახაროვი, პანიზი) რომელ-
შიც თითქოს გამოსტვივის შოვინიზმის და იმპერიალიზ-
მის საწინააღმდეგო რამ. მაგრამ თუ დაუკვირდებით ენა-
ხავთ, რომ ესენი ჯერ ერთი პოლიტიკურსები არ არიან
და მერე, მათ ერთა შორის ურთიერთ ჩაგვრის პოსპონის
სურვილი კი არ ამოძრავებთ, არამედ — სწორედ რუს-
თის ინტერესები, რომელიც მათ თავისებურად ესმით.
მათი გაგება რეალიზმიდან ძალიან შორის არის, მათ ჭადა-
გებაში პოლიტიკა და მისტიკიზმი თანაბრად გახდება
და იმის გარანტიაც არ არსებობს რომ მათ მოქმედებაში
ტაქტიკურ მოსაზრებებს არ ჰქონდეს ადგილი.

ყოველშემთხვევაში კომუნიზმი რომ მოისპოს ამით
რუსული ნაციონალიზმი არ გაჰქრება. კიდევ მეტი, რუ-
სების დღევანდელი პრობლემა სწორედ იმაში მდგომა-
ბარეობს, თუ როგორ უნდა მოახერხონ, კომუნიზმის თა-
ვიდან მოშორება ისე, რომ ის იმპერიალისტური შენაძენი
რაც მათ ნაციონალიზმმა და კომუნიზმმა მოუტანა, რაც
შეიძლება უკლებლად შეინარჩუნონ.

საყველთაოდ მიღებულია, რომ კომუნიზმის დამხობას
დემოკრატიის დამყარება უნდა მოჰყეს. აქვე აღნიშნოთ
და ნუ დავიგიშვებთ, რომ დემოკრატიას, ყოველთვის და
სავალდებულოდ, არ მოაქეს ხალხთა თავისუფლება. მაგ-
რად როგორია საერთოდ დემოკრატიის შანსები რუსეთში? ამ
საკითხზე მრავალი აზრი არის გამოთქმული და თუ უკი
დურესობას არ გავყებით, უმეტესობის აზრი ის არის
რომ რუსი ხალხის ხასიათში დემოკრატიისათვის, მეტი
რომ არა ვთქვათ, ხელსაყრელი, ან მოლად შესაფერისი
ნიადაგი არ არსებობს (რუსები ამბობენ მზად არა ვართო)
ე. ი. რუსეთში დემოკრატიამ ზოგ პირობებში შეიძლება
გაიხაროს, მაგრამ დასავლეთური გაგებით და წარმატე-
ბით იგი რუსეთში ვერ გაიფურჩენდა.

წარმოვიდგინოთ და დაცულებით რუსეთში თუნდაც კოჭ
ლი დემოკრატიის დამყარება. გამოცდილებით ცნობი-
ლია, რომ არც ერთ დემოკრატიულ სახელმწიფოს უმტ-
კიუნულოდ და ნებაყოფლობით თავისი დომინაციის ფარ-
გლები, მარტო თავისი ნებით არასოდეს შეუმცირებია.
ეს ცნება, რამოცდნიმე საუკუნის წინ, მშვენიერიდ გარსე-
თვა პოეტმა მეფემ: „ომი საზღვრავს მესაზღვრეთა“.
ასე რომ რუსეთში დემოკრატიის დამყარება საკმარისი
პირობა არ არის, ჩვენი სურვილისა და მოთხოვნილების
დასაქმიაყოფილებლად. თუმცა დღევანდელ მდგომარეო-
ბასთან შედარებით მაინც დიდი შეღავათი იქნება, რად-
გან დემოკრატიული რუსთი, გვაქვს ზოგი საფუძველი
ვითქმით, ჩვენი ეროვნული მეობის შენარჩუნებას და
ეროვნული კულტურის განვითარებას ნაკლები სიმძაფ-
რით წინააღმდეგადა და შესაძლებელია მხოლოდ რუსთის
პოლიტიკურ - ეკონომიკურ ინტერესთა უზრუნველყოფით
დაქმაყოფილდეს..

მარჩიელება იმაზე თუ მომავალი რას გვიქადის, მხო-
ლოდ თავის გართობა იქნებოდა. რა პირობებში და რა
ძალთა ჩარევით ან გავლენით მოხდება ძირითადი ცელი-
ლები საბჭოთა კავშირში. იმაზე შეიძლება უამრავი
პიორტება დაცულებათ და როგორც ასეთ შემთხვევაში
ყოველთვის ხდება, არც ერთი წინასწარმეტყველება
მთლიანად არ გამართლდება. მაგრამ, რამდენადაც შესაძ-
ლებელ გამოსავალის ნატერა შეიძლება, ყველა სიძნე-
ლეებს და მოსალოდნელ გართულებებს თუ სახეში მიეი-
ღებთ, იდეალური, ყველასათვის სასარგებლო და გონიე-
რი საკითხის გადაწყვეტა, ალბათ, ის იქნებოდა, რომ საბ-
ჭოთა კავშირი, ეკროპის გაერთიანების მოძრაობას შეუ-
ერთდებოდეს. ეს საქმე დიდი უტობიათ გვეჩენება, მაგ-
რამ დე გოლი, ეითომ უტოპისტი იყო, როდესაც ამგვარი
გამოსავლის შესაძლებლობა და სასურველობა გამოსთვევა
ლოზუნებით: „ეკროპა ატლანტიკიდან ურალამდე?“ ამას
მომავალი გამოაჩენს.

ხოლო ჯერჯერობით, რუსები დიდი ენერგიით შუშა-
ობენ იმპერიის ერთადშემკრავი სისტემა, შეძლებისადაც-

ვარად დაურღვევილ შენობად აქციონ: გარუსების პოლიტიკით, ჩამოსახლების მეოხებით წარმოებულ ეთნიურ კოლონიზაციით და ეკონომიკურად რუსეთისაგან დამოკიდებულების გასაძლიერებლად, საამისოდ დაგეგმილ ინდუსტრიის და მეურნეობის განვითარებით.

როგორ უნდა დაიცვას თავი საქართველომ? მეურნეობის და ინდუსტრიის ჩვენთვის არახელსაყრელ მიმართულებით განვითარებას ჩვენ ვერ შევებრძოლებით. განდის მეთოდები ჩვენში არ გამოდგება, არც პირობებია როგორც ინდოეთში იყო. ჩეინისაგზის ლიანდავ ზე რომ ქართველები დაწვენენ ეს ჩვენში წარმოუდგენელია. არც ტყეში გახიზუნა და იქიდან თარეშის მოწყობა, ჩამოსახლებულ რუსების დასახოცად გამოგვადგება, დასაშევებიც რომ იყოს. ალექსის მაგალითი ჩვენთვის გამოუყენებლია. ჩვენ დაგვრჩენია ერთად ერთი საშუალება თავის შენახვისა, რომელსაც საქართველომ უკვე მეცხრამეტე საუკუნეში მიმართა: ვიმუშაოთ რომ მომავალს მომზადებული შეეხვდეთ; გაემაგროთ ერთი ხერხმალი; დავიცვათ, განვავითაროთ ეროვნული კულტურა; დავიცვათ და ავამაღლოთ პიროვნული, ოჯახური და ეროვნული მირალი; ქართველობის შეგნებულმა, მოწინავე ნაწილმა უნდა იზრუნოს ქვეყნისათვის, როგორც მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწენი ზრუნავდენ; ამ ზრუნვისა და ჯაფისაკენ ხალხს უნდა იზიდავდეს არა ხელფასი ან რაიმე მოგება არამედ ნამდვილი პატრიოტული შეგნება და ქვეყნის სიყვარული. უნდა შევინახოთ ქართული ოჯახი; უნდა გავიგოთ რომ მრავალ შევილიანობა ეროვნულ თავდაცვის საშუალებაა; ნუ დაგვავიწყდება რომ მაღალი ზენობა ადამიანის ერთს ძალაა; უნდა შევიგნოთ რომ ზომაზედ მეტი ყველაფერი ცუდია — ღვინო იქნება თუ უნივერსიტეტის დიპლომი; გვახსოვდეს რომ თუ კველა ქართველი ქალაქში მოწყო და სოფელი დაცალიერდა საქართველოს ძირი გამოეთხება; საქართველოში პატარა თანამდებობა გვიჩრჩენდეს რუსეთში დიდებაცბას; რუსული ენა უნდა ვიხმაროთ, როგორც სავალდებუ-

ლო შემთხვევაში სახმარი იარაღი და არა როგორც ქართული ენის შემცვლელი ენა.

თუ ამგვარმა შეგნებამ ხალხში ფეხი მოიკიდა და თუ ქართველები ამ შეგნებით იმოქმედებენ, მომავლის ნუ გვეშინა. მომავალი იმისთვის არის საშიში ვინც მას მოუმზადებლად შეხედება. და ბოლოს, ერთი რამ გავიხსენოთ: ილია, მარტო ლიტერატურა არ არის; მისი სწავლა დღესაც ყერუალურია.

მიხეილ ქავთარაძე.

ლუციანის კონვენცია

ამა წლის 5 და 6 აპრილს, ქალაქ ლუციანში (შვეიცარია) შესდგა, ადამიანის უფლების და ერთა თვითგამორკევის მეორე კონფერენცია, (პირველი ჩატარდა, 1974 წლის 1, 2 და 3 მარტს).

ეს ყრილობა მოწვეული იყო, ადამიანის უფლების და ერთა თვითგამორკევის ევროპიული მოძრაობის ინიციატივით, — მოძრაობის, რომელსაც ხელმძღვანელობენ და პატრიონობას უწევენ. დასავლეთ ევროპის ცნობილი პოლიტიკური პიროვნებები, ევროპის პარლამენტების დებუტატები, სტასბურგის ევროპიულ პარლამენტების წევრები და სხვი.

კონფერენციაზე წარმოდგენილი იყვნენ დასავლეთ ევროპის, აღმ. ევროპის და საბჭოთა კავშირის ხალხთა დალეგატები. ქართულ ეროვნულ პოლიტიკურ ცნობის დალეგაციაში შედიოდნენ: ბბ. მიხეილ ქავთარაძე, გივი ბეგიაშვილი, ოთარ ზურაბიშვილი და გია სარჯველაძე. კონფერენციას დაესწრო ავრეთე ბ. ნოე ცინცაძე.

ორი დღის განმავლობაში მოსმენილ იყო მრავალი მოხსენება, რომელთა შემდეგ გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა ხდებოდა.

საქართველოს სახელით მოხსენებით გამოვიდა პ-ნი გია სარჯველიძე. მისმა საპუთიანმა გაბედულმა გამოს-ვლამ, გულით ნათქვამმა სიტყვებმა, საკითხის ნათლად დაყენებამ და ახალგაზრდობამც ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ჩვენი ახალგაზრდა წარმომადგენილი, ჩვეულებრივ ზრდილობიან ტაშის ნაცელად, არა მარტო შეუხარე ტაშით დააჯილდოვეს, არამედ ათიოდე დელე-გატი სხვა და სხვა ეროვნებისა მასთან მიერდა, ხელის ჩა-მორთმევით ულოცავდენ და მაღლობას უხდიონენ.

რეზოლუციის დამტკიცებამდე, ქართულმა დელეგა-ციამ, ამჯერად ოთარ ზურაბიშვილის პირით მოითხოვა, რომ გამოთქმა „ევროპის ყველა ხალხები“ უფრო დაზუს-ტებულიყო და შეცვლილიყო „ევროპის და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხები“-თ. ეს მოთხოვნილება დაკ-ყოფილებული იქმნა.

რეზოლუციის მრავალ მუხლთაგან ყველაზე მნიშვნე-ლოვანი მუხლებია: კონფერენცია მოითხოვს ევროპის და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხების ოვითგამორკვევის ცხოვრებაში გატარებას; ადამიანის უფლებისა და თავი-სუფლების დაცვას; საკუთარ რელიგიურ და პოლიტიკურ შეხედულებით, თავისუფლად ცხოვრების უფლებას; სოციალურ სამართლიანობას; ოვითგამორკვევის უფლე-ბის მინიჭებას იმ ხალხებისათვის რომელნიც დამონებულ-ნი არიან ძალით თავზემოხვეულ ხელისუფლებით; ძა-ლით ან უცხო ინტერესების საშუალებით შექმნილ სახელმწიფოთა რეორგანიზაციას; და სხვა.

†

უურნალ „ივერიას“ რაღაჭებია მწუხარებით აუწყებს
საზოგადოებას რომ ა. წ. აქაილში არდაიცვალა ერ. დე-
მოკრატიულ პარტიის ერთგული წევრი და დამსახურე-
ბული მებრძოლი გოორგი (გოგი) კახაბური.

განსვენებულის გარდაცვალების ზუსტი პირობები,
მიზეზი და თარიღი უცნობია, რადგან მისი ცხედარი ალ
მოაჩინეს მისსავე ბინაში სადაც იგი მარტო ცხოვრობ-
და. დაკრძალუა მოხდება მხოლოდ ოფიციალურ ანკეტის
დასრულების შემდეგ, სენტუანის სასაფლაოზე, განსვე-
ნებულის ახლად გარდაცვალებული მეულლის ოჯახის
აკლადამაში.

+

თამარ პატარიძისა და მისი შვილები: თინათინ
ყიფინისა, გულნარა ურატაძისა და ოთარ პატარიძე
ულრმეს მაღლობის გრძნობით მიმართავენ მრავალრიცხო-
ვან მეგობარ-ნაცნობებს, რომელთაც უბედურობის ფაში,
მათი ოჯახის მწუხარება და ტკიფილი გაიზიარეს.

გამოცემლობა-რედაქციის მისამართი.

M. KAVTARADZÉ
61, Chemin de Tabor
91310 LINAS

IMPRIMERIE COOPÉRATIVE 91290 - ARPAJON (FRANCE)

